2025 წლის საგნის გამოცდის შეფასების სქემა
ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში
(I – IV კლასები)

ქართული ენა და ლიტერატურა

1	**დ**
2	**ბ**
3	**ა**

4	**მაქსიმალური ქულა: 6**

დავალებაში დაშვებული იყო 5 შეცდომა:

შეცდომა	**უნდა იყოს**
იმ ადამიანებისთვის – ... ვისაც	იმ ადამიანებისთვის – ... რომლებსაც / რომელთაც
ამოსვა	ამოსხა
ჩვენს წინაშეა	ჩვენ წინაშეა
მიკვროდა	მიჰკვროდა
აღსანიშნად	აღსანიშნავად

შეცდომის პოვნა

- აპლიკანტი დაშვებული შეცდომებიდან თითოეულის შესწორებისთვის მიიღებს თითო პლუსს ,,+“.

შეცდომის განმარტება-დასაბუთება

- თითოეული შეცდომის **მართებულად და სრულყოფილად** განმარტება-დასაბუთებისათვის აპლიკანტი დაიმსახურებს ორ პლუსს „++“;
- თითოეული შეცდომის **ნაწილობრივ მართებულად / არასრულყოფილად** განმარტება-დასაბუთებისათვის აპლიკანტი დაიმსახურებს ერთ პლუსს „+“.

++ მოცემულია რთული ქვეწყობილი წინადადება, რომელშიც გვაქვს განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადება. იგი მთავარს უკავშირდება შესაბამისი წევრ-კავშირით.
აუცილებელია დასახელდეს განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადება და წევრ-კავშირი.

++ თუ მხოლობითში დასმული სუბიექტური პირის მოქმედება მრავლობითში დასმულ პირდაპირ ობიექტზე გამოხატულია რიცხვში მონაცვლე ზმნით, მაშინ ეს ზმნა უნდა იყოს მრავლობითის ფუძით.
აუცილებელია დასახელდეს რიცხვში მონაცვლე / რიცხვში ფუძემონაცვლე.

++ **წინაშე** წარმოადგენს ნათესაობითი ბრუნვის ცალკე მდგომ თანდებულს, შესაბამისად, პირის ნაცვალსახელია და არა კუთვნილებითი. / ნათესაობითი ბრუნვის ცალკე მდგომი თანდებული **წინაშე** დგას მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელთან.
აუცილებელია დასახელდეს ნათესაობითი ბრუნვა, თანდებული და პირის ნაცვალსახელი.

++ 2-პირიანი გარდაუვალი ზმნაა, რომელიც შეიწყობს მესამე ირიბობიექტურ პირს. სიტყვის ძირი იწყება უკანა სასისმიერი **კ** ასო-ბგერით და სჭირდება მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანი **ვ**.
აუცილებელია დასახელდეს 2-პირიანი, მესამე ირიბობიექტური პირი და ასო-ბგერა კ.

++ მიზნის გარემოების ფუნქციით გამოყენებულ მომავალი დროის მიმღეობაში უნდა შენარჩუნდეს **-ავ** თემის ნიშანი, რადგანაც საწყისი ფორმა არის „**აღნიშვნა**“, რომელშიც თემის ნიშნის თანხმოვანია შენარჩუნებული.
აუცილებელია დასახელდეს საწყისი „აღნიშვნა“ და -ავ თემის ნიშანი.

სწორად დაწერილი სიტყვის არამართებული ფორმით გასწორება

- სწორად დაწერილი თითოეული სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში აპლიკანტის მიერ დაგროვებული პლუსების რაოდენობა თითო პლუსით შემცირდება.

აპლიკანტმა შეიძლება დააგროვოს ჯამში 15 „+“.

ნაშრომი ფასდება დაგროვებული პლუსების საერთო რაოდენობის მიხედვით:

პლუსების რაოდენობა	**შეფასება**
14 - 15	6 ქულა
12 - 13	5 ქულა
10 - 11	4 ქულა
7 - 9	3 ქულა
4 - 6	2 ქულა
1 - 3	1 ქულა

5	**მაქსიმალური ქულა: 2**

2 ქულა:

დავალებაში მოცემული წინადადების **შინაარსისა და აგებულების** ცვლილების გარეშე სწორად არის ამოცნობილი / გასწორებული შეცდომა:

✓ ვიქტორინის გამარჯვებულები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტები არიან. / **სტუდენტებია – სტუდენტები არიან**
მოცემულია სრულყოფილი ახსნა: აპლიკანტი პროფესიული ლექსიკის გამოყენებით განმარტავს, რომ როცა შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი / ბრუნებადი სიტყვა სულიერი საგნის აღმნიშვნელი სიტყვაა და ის მრავლობით რიცხვშია, ზმნური ნაწილიც / მეშველი ზმნაც შეურწყმელად, სრულად მრავლობითის ფორმით უნდა გადმოიცეს;
<u>აუცილებელია დასახელდეს 4 კომპონენტი: შედგენილი შემასმენელი, სახელადი ნაწილი / ბრუნებადი სიტყვა, სულიერი და მრავლობითი რიცხვი.</u>

1 ქულა:

- აპლიკანტი მართებულად ამოიცნობს / ასწორებს შეცდომას წინადადების სრულად ან მხოლოდ გასწორებული მონაკვეთის დაწერით, თუმცა ვერ განმარტავს / ვერ ასაბუთებს / არასწორად განმარტავს შეცდომის მიზეზს / არასაკმარისია დასაბუთება / განმარტება ბუნდოვანი და გაუგებარია.

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- არასწორადაა ამოცნობილი და განმარტებული შეცდომა;
- პასუხი არ არის მოცემული.

6.1	**გ**
6.2	**დ**

6.3	**მაქსიმალური ქულა: 2**
	2 ქულა: მოცემულია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა. აპლიკანტი აანალიზებს წერილის ეპიზოდს და ხსნის მის დანიშნულებას პერსონაჟის მხატვრული სახის გააზრებისთვის – კულმინაციური მომენტია, ერთგვარი პიკია უკეთესი ცხოვრებისთვის ბრძოლის გზაზე. იგი დამოუკიდებლად მოქმედებს, ერთგვარი მეტამორფოზის საწყისია მისთვის და მისთ. **1 ქულა**: **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • აპლიკანტი განმარტავს წერილის ეპიზოდს და მის დანიშნულებას პერსონაჟის მხატვრული სახის გააზრებისთვის, თუმცა წარმოდგენილი მსჯელობა ზედაპირულია / სქემატურია / აპლიკანტი შემოიფარგლება 2-3 სიტყვით; • აპლიკანტი მიუთითებს წერილის დანიშნულებაზე, მაგრამ მსჯელობას გრეგუარის ერთგვარი დახასიათებით აგრძელებს – კეთილია / ყოჩაღია / მონდომებულია და ა.შ. **0 ქულა**: **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • არასწორადაა ახსნილი წერილის ეპიზოდის დანიშნულება / მსჯელობა მცდარია; • პასუხში წარმოდგენილია გრეგუარის ზოგადი დახასიათება; • პასუხში უმეტესწილად წარმოდგენილია დავალების პერიფრაზი; • პასუხი არ არის მოცემული.
6.4	**მაქსიმალური ქულა: 2**
	2 ქულა: მოცემულია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა. აპლიკანტი აანალიზებს გრეგუარის საზოგადოებაში თავის დამკვიდრების პრობლემებს – სკოლის არამხარდამჭერი გარემო, ფიზიკური სისუსტე, და ინდივიდუალური საჭიროებების გაუთვალისწინებლობა, მშობლების ემპათიის დეფიციტი – და განმარტავს, როგორ უმკლავდება ბიჭი ამ გამოწვევას – საკუთარი შესაძლებლობების გაანალიზების შედეგად გაბედული მოქმედება, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება. **1 ქულა:** • აპლიკანტი ასახელებს გრეგუარის საზოგადოებაში თავის დამკვიდრების პრობლემებსა და გამოწვევებთან გამკლავების ფაქტს, თუმცა წარმოდგენილი მსჯელობა ზედაპირულია / სქემატურია / აპლიკანტი შემოიფარგლება რამდენიმე სიტყვით; • მოცემულია გამართული მსჯელობა გრეგუარის საზოგადოებაში თავის დამკვიდრების პრობლემებთან დაკავშირებით, თუმცა აპლიკანტი 2-3 სიტყვით ან მცდარად უთითებს / არ საუბრობს, როგორ უმკლავდება ბიჭი ამ გამოწვევას. **0 ქულა:** **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • არასწორადაა ახსნილი გრეგუარის საზოგადოებაში თავის დამკვიდრებასთან დაკავშირებული კონტექსტი; • პასუხში უმეტესწილად წარმოდგენილია დავალების პერიფრაზი; პასუხი არ არის მოცემული.

7.1	**მაქსიმალური ქულა: 2**
	2 ქულა: მოცემულია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა; იდენტიფიცირებული და ახსნილია, რა საერთო ზოგადი პრობლემა იკვეთება ამ ორ ლექსში - სულიერი სიცარიელის / შინაგანი გაუცხოების / უმიზნო, უშინაარსო, უმოქმედო ცხოვრების შიში. **1 ქულა**: **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • სწორად არის ამოცნობილი / იდენტიფიცირებული ლექსებში წამოჭრილი პრობლემა, თუმცა წარმოდგენილი მსჯელობა ზედაპირულია / სქემატურია / აპლიკანტი შემოიფარგლება რამდენიმე სიტყვით. **0 ქულა**: **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • არასწორადაა გააზრებული ლექსებში დასმული საერთო პრობლემა / მსჯელობა მცდარია; • პასუხი ძირითადად წარმოადგენს პერიფრაზს; • პასუხი არ არის მოცემული.
7.2	**მაქსიმალური ქულა: 2**
	2 ქულა: მოცემულია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა; იდენტიფიცირებულია პრობლემის დაძლევის გზა – ილიასეული ქმედითობა (ბედთან დაპირისპირება, უმოქმედობასთან, „არაფრობასთან“ ბრძოლა, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა; კონკრეტული ნაბიჯები ილიას ცხოვრებიდან: ბანკი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, პუბლიცისტიკა, საჯარო გამოსვლები და სხვა) მოყვანილია რელევანტური მაგალითი ქართული ლიტერატურიდან და წარმოდგენილია არჩევანის შესაბამისი არგუმენტაცია. **1 ქულა:** • იდენტიფიცირებულია პრობლემის დაძლევის გზა, განმარტებულია ილიასეული ქმედითობა, თუმცა მოყვანილი მაგალითი ქართული ლიტერატურიდან არარელევანტურია ან მაგალითი რელევანტურია, თუმცა არ არის წარმოდგენილი არჩევანის შესაბამისი არგუმენტაცია; • მოცემულია სწორი მსჯელობა; იდენტიფიცირებულია პრობლემის დაძლევის გზა და ილიასეული ქმედითობა, თუმცა ვერ ვხვდებით შესაბამის მაგალითს ქართული ლიტერატურიდან და მის არგუმენტაციას; • სწორად არის ამოცნობილი პრობლემის დაძლევის გზა და ილიასეული ქმედითობა, თუმცა პასუხი სქემატურია / ზედაპირულია / შემოიფარგლება რამდენიმე სიტყვით. **0 ქულა:** **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • არასწორადაა გააზრებული ლექსებში დასმული საერთო პრობლემა / მსჯელობა მცდარია; • მოცემულია მხოლოდ პარალელი ლიტერატურიდან რელევანტური არგუმენტაციის გარეშე; • პასუხი არ არის მოცემული.

მათემატიკა

8	**ბ**
9	**დ**
10	**გ**
11	**გ**
12	**გ**
13	**ა**
14	**ბ**
15	**დ**
16	**ა**
17	**ბ**
18	**ა**
19	**დ**

20	**მაქსიმალური ქულა: 3**
	3 ქულა: • დასაბუთებულია, რომ საპრემიო თანხა ტოლი იყო 5000 ლარის. **2 ქულა:** • გამოყენებულია ამოხსნის ადეკვატური გზა, მაგრამ არ არის გაცემული სწორი პასუხი ამოცანაში დასმულ შეკითხვაზე; • გამოყენებულია ამოხსნის ადეკვატური გზა და გაცემულია სწორი პასუხი ამოცანაში დასმულ შეკითხვაზე, მაგრამ არასაკმარისადაა დასაბუთებული. **1 ქულა:** • ამოცანის ამოხსნა დაწყებულია ადეკვატური გზით, გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯი, მაგრამ სათანადოდ არ არის გაგრძელებული. **0 ქულა:** • მოცემულია სწორი პასუხი, მაგრამ დასაბუთების გარეშე.
21	**მაქსიმალური ქულა: 3**
	სულ დაშვებულია 6 შეცდომა: 1) II. დაშვებულია შეცდომა ფრჩხილებში გამოსახულების ჩაწერისას. უნდა იყოს: $94 - 27 - 7 = 94 - (27 + 7)$ 2) დაშვებულია შეცდომა სიდიდეების ჩაწერისას. უნდა იყოს: II. 50030 კგ III. 380 წმ 3) დაშვებულია შეცდომა კანფეტების რაოდენობის გამოსათვლელი გამოსახულების ჩაწერისას. უნდა იყოს: $2 \cdot (7 + 1)$ 4) დაშვებულია შეცდომა მოქმედების ნიშანში $220 - 26$ 5) დაშვებულია შეცდომა პერიმეტრის გამოსათვლელი გამოსახულების ჩაწერისას. უნდა იყოს: $2 \cdot 2 \cdot (3 + 2)$ სმ ან $2 \cdot 10$ სმ

აპლიკანტი მე-2-ის II და III დავალებების ამოხსნისას მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომებიდან თითოეულის აღმოჩენისა და შესწორებისთვის მიიღებს თითო-თითო ,,+“-ს, ხოლო მოსწავლის მიერ დაშვებული დანარჩენი 4 შეცდომიდან თითოეულის აღმოჩენისა და შესწორებისთვის მიიღებს ორ-ორ ,,+“-ს. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტმა მოსწავლის შეცდომა კი არ შეასწორა, არამედ თვითონ ამოხსნა სწორად, მაშინ ის მიიღებს მხოლოდ ერთ ,,+“-ს.

აპლიკანტის მიერ მოსწავლის სწორად შესრულებული თითოეული ნაბიჯის არასწორად ჩათვლის შეთხვევაში მის მიერ დაგროვილი ,,+“-ების რაოდენობა თითო ,,+“-ით შემცირდება.

აპლიკანტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 10 ,,+“.

შეფასება ხდება დაგროვებული ,,+“-ების საერთო რაოდენობის მიხედვით:

პლუსების საერთო რაოდენობა:	შეფასება
9-10	3 ქულა
6-8	2 ქულა
3-5	1 ქულა
0-2	0 ქულა

ბუნებისმეტყველება

22	გ
23	ა
24	ბ
25	ა
26	ბ
27	ბ
28	დ
29	ბ
30	ა
31	დ
32	გ
33	გ

აკადემიური უნარები

წაკითხული ტექსტის გააზრება

34	გ
35	დ
36	ბ
37	ა
38	დ

ანალიტიკური წერა
39.

მაქსიმალური ქულა: 9
I. დასაბუთება / არგუმენტაცია *   *ნაშრომი მოცემული პირობის რელევანტურია, ავტორის პოზიცია მკაფიოა, არჩეულია დებულება, წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთება, გაკრიტიკებულია საწინააღმდეგო დებულება. მსჯელობა გამყარებულია დამაჯერებელი, ადეკვატური არგუმენტებითა და მაგალითებით.*   **3 ქულა:**   მკაფიოდ არის არჩეული ერთ-ერთი დებულება და დასაბუთებულია გააზრებული, თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტებით. მოყვანილი არგუმენტები გამყარებულია ადეკვატური მაგალითებით ან ლოგიკური მსჯელობით. თანმიმდევრული მსჯელობითა თუ შესაბამისი მაგალითებით კრიტიკულად არის შეფასებული საწინააღმდეგო პოზიცია / საკითხის გადაჭრის მეორე შესაძლო გზა.   **2 ქულა:**   მკაფიოდ არის არჩეული ერთ-ერთი დებულება. არგუმენტაცია ლოგიკურია, თუმცა: ➢ გვხვდება 1-2 ზოგადი ფრაზა პოზიციის დასაბუთებისას;   ➢ მოყვანილი არგუმენტებიდან 1-2 ზედაპირულია, მაგრამ მსჯელობა გამყარებულია მაგალითებით;   ➢ საწინააღმდეგო დებულების კრიტიკული ანალიზისას მოხმობილი არგუმენტებისა და მაგალითების ნაწილი ზედაპირულია / ზოგადია / არადამაჯერებელია / შემოიფარგლება რამდენიმე წინადადებით.   **1 ქულა:**   იკითხება / ამოიცნობა აპლიკანტის არჩევანი. არგუმენტაცია მეტ-ნაკლებად ლოგიკურია, თუმცა: ➢ პოზიციის დასაბუთებისას გამოყენებულია ზოგადი ფრაზები;   ➢ მოყვანილი არგუმენტების / მაგალითების მნიშვნელოვანი ნაწილი ზედაპირულია;   ➢ საწინააღმდეგო დებულების კრიტიკული ანალიზისას წარმოდგენილი მსჯელობა ზოგადია / არადამაჯერებელია / არ არის გამყარებული რელევანტური არგუმენტითა თუ მაგალითით;   ➢ მკაფიოდ არის არჩეული დებულება. არჩევანის დასასაბუთებლად მოხმობილი არგუმენტაცია ძირითადად ლოგიკურია, თუმცა ნაშრომში **არ იკითხება** საწინააღმდეგო დებულების კრიტიკული ანალიზი ან მხოლოდ იდენტიფიცირებულია კონტრარგუმენტი მსჯელობის გარეშე.   **0 ქულა**:   **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:**   • მსჯელობა დავალების პირობასთან მიმართებით არარელევანტურია;   • არჩეული არ არის პოზიცია, თემაში მიმოხილულია დავალებაში მოცემული საკითხები / არ წარმოადგენს არგუმენტირებას თუ კრიტიკულ ანალიზს;   • პოზიცია არჩეულია, თუმცა მსჯელობა სრულიად მცდარია / შეუსაბამოა / დაუსაბუთებელია;   • მსჯელობა არ არის ლოგიკური, თანმიმდევრული;

**მსჯელობისას ფაქტობრივი შეცდომის დაშვების შემთხვევაში აპლიკანტს პირველ კომპონენტში დააკლდება 1 ქულა.*

****თუ ნაშრომი პირველი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდება 0 ქულით, ის აღარ გასწორდება სხვა კრიტერიუმების მიხედვით.***

II. თხრობის ორგანიზება

ნაშრომი სტრუქტურულად გამართულია, აზრები მწყობრად, თანმიმდევრულად არის გადმოცემული, თხზულების ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.

2 ქულა:

- ტექსტი სტრუქტურულად გამართულია – ნაწერში წარმოდგენილია საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა; აზრები მწყობრად არის გადმოცემული, მონაკვეთები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს; აბზაცები ლოგიკურად არის გამოყოფილი. წარმოდგენილია დავალების პირობის ყველა კომპონენტი – არჩეულია დებულება, დასაბუთებულია არჩევანი და გაკრიტიკებულია საკითხის გადაჭრის მეორე შესაძლო გზა.

1 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- მკაფიოდ არის წარმოდგენილი ტექსტის მხოლოდ ორი სტრუქტურული ნაწილი;
- წარმოდგენილ მსჯელობაში კრიტიკულად არ არის შეფასებული საკითხის გადაჭრის მეორე შესაძლო გზა;
- ტექსტის ზოგიერთი მონაკვეთი ლოგიკურად არ უკავშირდება დავალების პირობას;
- ერთი-ორი პასაჟი თხზულების სტრუქტურიდან ამოვარდნილია;
- წარმოდგენილი დასკვნა მკაფიოდ / პირდაპირ არ მიემართება დავალების პირობაში დასმულ საკითხებს / არ გამომდინარეობს მსჯელობიდან;
- უფუნქციოდ, დატვირთვის გარეშე მეორდება ერთი და იგივე აზრი;
- ნაშრომში აბზაცები არ არის გამოყოფილი ან არალოგიკურადაა გამოყოფილი.

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაწერის მხოლოდ მცირე მონაკვეთი ეთმობა მსჯელობას (რამდენიმე წინადადება, პატარა აბზაცი ა. შ.);
- მოსაზრებები, ტექსტის უმეტესი ნაწილი ერთმანეთსა და დავალების პირობებს ლოგიკურად არ უკავშირდება;
- ნაწერში წარმოდგენილია ტექსტის მხოლოდ ერთი სტრუქტურული ნაწილი;
- პოზიცია 1-2 წინადადებით არის იდენტიფიცირებული, თუმცა ნაშრომში საკითხის სამსჯელოდ დასმას / წამოჭრას ვერ ვხვდებით.;
- სტრუქტურიდან ამოვარდნილია რამდენიმე პასაჟი.

III. სტილი, ლექსიკა

აზრები ცხადად, ნათლადაა გამოთქმული, ნაწერი ლექსიკურად მდიდარი და სტილურად გამართულია, ლექსიკა შეესაბამება დასმულ საკითხს.

2 ქულა:

- ნაშრომში გვხვდება ერთი-ორი უმნიშვნელო სტილური ხარვეზი, ტექსტი ლექსიკურად მდიდარია, აზრი მკაფიოდ და გამართულად არის გადმოცემული, გამოყენებულია საკითხის შესაფერისი ლექსიკა და სტილი.

1 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაშრომში გვხვდება რამდენიმე სტილური ხარვეზი. გამოყენებული ლექსიკა და სტილი ძირითადად შეეფერება საკითხს.
- ნაწერი ლექსიკურად მწირია, თუმცა, გამოყენებული ლექსიკა და სტილი ძირითადად შეეფერება საკითხს.

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაწერი ლექსიკურად ღარიბია;
- დაშვებულია სტილური ხარვეზები;
- ნაშრომში გარკვეული მონაკვეთი სტილურად გაუმართავია;
- გამოყენებულია არაადეკვატური ლექსიკა / სტილი.

IV. სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია

ნაწერი შესრულებულია თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

2 ქულა:

- დაშვებულია **ერთი-ორი** ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური / პუნქტუაციური შეცდომა, ***არ არის*** *დაშვებული სინტაქსური შეცდომა,* დაცულია თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები.

1 ქულა:

- **დაშვებულია არაუმეტეს ხუთი** სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომისა;

0 ქულა:

- **დაშვებულია ექვსი და მეტი** სინტაქსური / ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური / პუნქტუაციური შეცდომა; ნაშრომში დარღვეულია თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი არ გასწორდება, თუ:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- შეიცავს ინფორმაციას, რომლის საშუალებით შესაძლებელია აპლიკანტის პიროვნების იდენტიფიცირება – სახელსა და გვარს (რეალურსა თუ გამოგონილს), მეტსახელს, ხელმოწერას და ა.შ.
- შესრულებულია ისეთი ხელწერით, როგორის წაკითხვაც შეუძლებელია.

ნაშრომი უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 120 სიტყვას. სხვა შემთხვევაში ის გასწორდება მხოლოდ I კრიტერიუმის მიხედვით.

გაითვალისწინეთ!

- თუ სწორ პასუხთან ერთად აპლიკანტი არასწორ პასუხსაც მიუთითებს, შეფასდება 0 ქულით;

- თუ ტესტის ქართული ენისა და ლიტერატურის ნაწილში მოცემულ დავალებებზე პასუხის გაცემისას დარღვეულია თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები, აპლიკანტს დავალების შეფასებისას დააკლდება 1 ქულა.